პროლეტარეპო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 ნოემბერი, სამშაბათი, 1989 წ.
№ 222 (10 141) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მსოფლიო გაეცნობა ქართულ ჭიდაობას



ესაა რეალობა, ჩვენი ხალხის ეროვნულ საგანძურს ამიერიდან მთელი სპორტული სამყარო ეზიარება.

ეს დასაწყისია მხოლოდ.

გისაროდენ!

ულ ცოტაც და თბილისის სპორტის მოყვარულებს სხარულის დღეები დაუდგებათ. 25-26 ნოემბერს სპორტის სასახლეში გაიმართება ტრადიციული შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში 1989 წლის ფალავნობაზე.

ტრადიციულიო, ვამბობთ ინერციით, ვინაიდან ეს შეჯიბრება 1927 წლიდან მოყოლებული, როგორც წესი, წლის ბოლოს ეწყობა. თორემ წლევანდელი ტურნირი ყველა წინამორბედისგან გამორჩეულია. 1989 წლის ფალავნობა ღიაა და მასში მონაწილეობას უძღვიან ქართველ მოჭიდავეთა გარდა მიიღებენ უცხოეთიდან და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული ათლეტები.

ამას სხვაგვარად ქართული ჭიდაობის მსოფლიო აღიარება ჰქვია, თუმცა... აღიარებამდე ჯერ დიდი დროა და ბევრი ორგანიზაციული ნაბიჯია გადასადგმელი. მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ ქართულმა ჭიდაობამ თავისი თვითმყოფადობის გამო შორს გაითქვა სახელი და უცხოეთის ბევრ ქვეყანაში სპორტსმენებს ინტერესის საღერღელი აუშალა.

მაგრამ ინტერესიც არის და ინტერესიც. ამასთან ინტერესი არ მოდის ისე, სხვათა შორის, თავისთავად. ქართული ჭიდაობისკენ შემობრუნება დაიწყო მაშინ, როცა უცხოეთმა ბოლომდე გაიაზრა ჩვენი მოჭიდავეების წარმატებების მიზეზები საერთაშორისო სარბიელზე.

ქართველ ფალავანთა წარმატებებს, ყველაზე ნათლად, ალბათ მაინც, ციფრები ასახავენ. 1952 წლიდან მოყოლებული ჩვენს ათლეტებს ჭიდაობის ოთხ კლასიკურ სახეობაში მოპოვებული აქვთ ოლიმპიური ჩემპიონის თორმეტი, მსოფლიო ჩემპიონის ორმოცდაექვსი, ევროპის ჩემპიონის ორმოცდაათხი და საბჭოთა კავშირის 226 ოქროს მედალი. თუ მხედველობაში სხვა საპრიზო ადგილებსაც მივიღებთ (ვერცხლი, ბრინჯაო) ეს სია, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ძალიან გრძელი გამოვა. და ეს ყველაფერი ჩვენი ეროვნული საუნჯის — ქართული ჭიდაობის დამსახურებაა.

საქართველოში ყველა ჭიდაობს, ვისაც გული ერჩის, ვიხაც მკლავსა და მუხლში მოსდგამს ძალა. წლევანდელი ფალავნობაც გამორჩეულ ვაჟკაცთა ასპარეზია და გასაკვირი არ არის, რომ ჭიდაობის მოყვარულნი მოუთმენლად ელიან მის დაწყებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზენაესი საკითხები

რესპუბლიკისა თუ ერის ცხოვრებაში ერის მოვლენები, რომლებსაც განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ენიჭებათ თუნდაც იმიტომ, რომ ისინი ხალხისა და საშობლოს სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავენ. ერი ასეთი მოვლენა გახლდათ საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეთორმეტე სესია, ამ დღეებში რომ გაიმართა თბილისში.

სესიაზე დეპუტატების წინაშე გამოტანილი საკითხების განხილვამ ჭეშმარიტი დემოკრატიისა და საჯაროობის პირობებში ჩაიარა. ეს ძალზე მნიშვნელოვანია. თვით განსახილველმა საკითხებმა განსაზღვრა დღის წესრიგის აქტუალობა, საყოველთაო-სახალხო ინტერესი სესიის მუშაობისადმი. თითოეული განსახილველი საკითხი, როგორც მგრძნობიარე ნერვი, დაკავშირებული იყო ყოველ ჩვენგანთან და მთლიანობაში ერის გულისთქმასთან. მაგრამ ხალხის ნებით საჯაროდ დაისვა ისეთი საკითხებიც, რომელთა მოგვარებისთვის მუშაობა და შემდეგ პრინციპული გადაწყვეტილების გამოტანა ასევე უზენაესი საბჭოს დეპუტატებს მოუხდებათ.

მართალია, სესიაზე კონკრეტულ საკითხებს განიხილავდნენ, თამამად შეიძლება ითქვას, მან მოიცვა მთელი ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფერო — მთავარი გადაწყვეტილებების მიღება ხომ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მიზნობრივ კავშირშია ყველა დიდ თუ პატარა საქმესთან, რომელთა წარმატებაზე ერის კეთილდღეობა და ავტორიტეტია დამოკიდებული. თუმცა ასეთ დროს არ არსებობს დიდი და პატარა საქმე, ყველა თანაბრად მნიშვნელოვანი და ერთნაირად აუცილებელია. იგივე ითქმის სესიის შედეგების მიმართებაზე ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ მოძრაობასთან.

საერთო პრობლემების გადაწყვეტაში რესპუბლიკის სრული სპორტული სუვერენიტეტის მოპოვებაც იგულისხმება. დროდადრო იმდენი სხვადასხვა უწესებრივი დაბრკოლება აღმართულა სპორტული დამოუკიდებლობის გზაზე, რომ იძულებული ვხდებით ყველგან და ყველაფერში კონსტიტუცია მოვიშველიოთ. ცენტრის ბიუროკრატიული აპარატი დღესაც, ნაცვლად იმისა, რომ ანგარიშს უწევდეს მოკავშირე რესპუბლიკების სამართლიან მოთხოვნებს, პირიქით, ახალ-ახალ პრობლემებს უქმნის მათ დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობისთვის ბრძოლაში.

დღეს, როცა საქართველოში შექმნილია ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ჩვენთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სესიის გადაწყვეტილებებსა და შემდგომში დღის წესრიგში დასმული საკითხების დროულად მოგვარებას. მათ შორის ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობთ საქართველოს სსრ მოქალაქეობის სამართლებრივი სტატუსის შემოღების შესახებ წინადადებათა შემუშავების, ეროვნული საჯარისო ფორმირებების აღდგენისა და რესპუბლიკის წვევამდელთა მიერ სამხედრო სამსახურის საქართველოს ტერიტორიაზე გავლის საკითხებს. პირველი საკითხი პირდაპირ კავშირშია და აუცილებელი მოთხოვნაა ოლიმპიურ სარბიელზე ჩვენი სპორტსმენების დამოუკიდებლად გასვლისათვის, ხოლო მეორე საკითხის მოგვარება ხელს შეუწყობს „გარემოს შეუცვლელად“ საქართველოს სპორტსმენთა ოსტატობის დონის ამაღლებას, აღკვეთს ჩვენი სპორტსმენების მონაწილეობას სხვადასხვა საჯარისო ფორმირებებისა და მათი სპორტული კლუბების სახელით სხვადასხვა შეჯიბრებებში.

საქართველოს ფიზკულტურელები და სპორტსმენები, მთელ ჩვენს მოსახლეობასთან ერთად, ოპტიმიზმით შეპყურებენ რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში ხალხის რჩეულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რეალურ ხორცშესხმას.

გვექნება უშუს ფედერაცია

უშუ — ფიზიკური აღზრდის აღმოსავლურ საშუალებათა ეს ეფექტური სისტემა, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი მთელს მსოფლიოში, საქართველოშიც მოიპოვებს მოქალაქეობრივ უფლებას. ამის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო საინიციატივო ჯგუფმა, რომელმაც საგანგებო საორგანიზაციო მუშაობა გასწია უშუს რესპუბლიკური ფედერაციის დამფუძნებელი კონფერენციის ჩასატარებლად.

კონფერენცია გაიმართება 1989 წლის 28 ნოემბერს თბილისში, ჟურნალისტთა სახლში (ერეკლე მეორის მოედანი, 3). დასაწყისი 17 საათზე. დელეგატების რეგისტრაცია იმავე დღეს დაიწყება 16 საათიდან.

ანონსი!

შემოგთავაზებთ ხვალ

ჩვენში დიდი ხანია არსებობს, თუ ამას არსებობა ჰქვია, სპორტული ფედერაციები, მაგრამ ირკვევა, რომ თურმე ბევრ საკავშირო ფედერაციას ადრე საკუთარი წესდებაც არ ჰქონია, აქედან გამომდინარე, არც რესპუბლიკური ფედერაციების საქმიანობა იყო სტატუსით განმტკიცებული.

საკავშირო სპორტსახკომის ორთაბრძოლების სამმართველომ შეადგინა ძიუდოს საკავშირო ფედერაციის წესდების პროექტი, რომლითაც იგი ერთპიროვნული მმართველი ხდება, რესპუბლიკური ფედერაციები კი საერთოდ კარგავენ სპორტულ სუვერენიტეტსა და თვითმმართველობის უფლებას.

„ლელოს“ რედაქციას საქართველოს სპორტსახკომმა გააცნო ეს პროექტი. პროექტთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს არაორაზროვანი პოზიცია, რომელსაც გაზეთის ხვალინდელ ნომერში გაგაცნობთ.

წოდების მინიჭება

საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

კრივში — აკაკი კაკაურიძეს (ქუთაისი, „შრომითი რეზერვები“), არმენ ბურდიანცს (თბილისი, „შრომითი რეზერვები“);

თავისუფალ ჭიდაობაში — იგორ ბიჩენოვს (ცხინვალი, პროფკავშირები);

ავიასამოდელო სპორტში — რომან მალენციანს (თბილისი, დოსაააფი).

ოცდაცუთი და... ოცდაცუთი

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა ქვეყნის ჩემპიონატებში მონაწილეობის ისტორიაში 25 წლისთავზე პირველად მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება. მას შემდეგ კიდევ ერთი 25 წელი გავიდა...

თბილისის „დინამო-64“ (მარცხნიდან) — . . . . . ., ხერგო კოტრიკაძე, ბორის სიჭინავა, ჯემალ ზეინკლიშვილი, ..., გურამ ცხოვრებოვი, მხარეს — მიკელ ლის რუბენიხი, გურამ პეტრიაშვილი, ილია დათუნაშვილი, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია, მიხეილ მესხი, მწვრთნელი — ალექსანდრე კოტრიკაძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

სერგო კოტრიკაძე, ბორის სიჭინავა, ჯემალ ზეინკლიშვილი, გურამ ცხოვრებოვი, ილია დათუნაშვილი, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია, მიხეილ მესხი. იმ „ოქროს მატჩის“ მონაწილე დინამოელთაგან მხოლოდ გაგრელმა გიორგი სიჭინავამ ვერ შეძლო ჩამოსვლა ზეიმზე და... კიდევ ორი ფეხბურთელი აკლდა საღამოს — შოთა იამანიძე, ვახტანგ რეხვიაშვილი.

დინამოელებმა თავიანთი ნომრების მიხედვით დაიკავეს ადგილი კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე. ორი სკამი იყო თავისუფალი მხოლოდ, სწორედ აქ უნდა დამსხდარიყვნენ „ოქროს“ გუნდის კაპიტანი, შესანიშნავი ნახევარმცველი შოთა იამანიძე და ცენტრალური მცველი ვახტანგ რეხვიაშვილი. პროექტორების მძლავრმა სხივებმა ჩაბნელებულ დარბაზში ორი ცარიელი სკამი გამოკვეთა — თანაგუნდელებს მათზე ცოცხალი ქრიზანთემების თაიგულები დაეწყოთ, ახალგაზრდა შაოსან ქალთა გუნდმა „საჩინომ“ სევდიანი საგალობელი წამოიწყო...

გ. სიჭინავას ადგილი ამ შეხვედრაზე მისმა კოლეგამ — მუდამ დაუღალავმა და ერთგულმა დინამოელმა, მართლაც „გაჰირვების ტალკვესმა“ გურამ პეტრიაშვილმა დაიკავა. მაგრამ ვინ შეგვიცვლის ცხო-

იხ. მე-3 გვ.

ეროვნული რაგბის ფესტივალი

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 18-19 ნოემბერი.

„საშემოდგომო შვიდეულის“ მეორე გაძოამაშება.

მსაჯები: მალხაზ კოროშინაძე (იმსახურა 7 თამაში), გოჩა აბაშიძე (7), ზურაბ რეხვიაშვილი (5).

„ა“ ჯგუფი: ჭიათურა — ხამსტავრო აკადემია 10:0, „ზოლიანები“ („ელმავალი“) — აკადემია 28:0, „ზოლიანები“ — ჭიათურა 24:0 (6:0).

„ბ“ ჯგუფი: ზოვეტი — სპი 18:14, „თბილისი“ (ყოფილი ახკ)— ზოვეტი 12:0 (8:0), „თბილისი“ — სპი 18:0.

„ვ“ ჯგუფი: „მიმინო“ — თსუ 10:7 (4:3), „თეთრები“ („ელმავალი“) — თსუ 26:4, „თეთრები“ — „მიმინო“ 38:0.

დამატებითი ტურნირი ნახევარფინალში გასახვლელად: ზოვეტი — ჭიათურა 3:0, ზოვეტი — „მიმინო“ 22:10 (6:4), „მიმინო“ — ჭიათურა 18:0 (0:0).

ხანუგეშო მატჩები: სპი — თსუ 4:0, სპი — აკადემია 16:0, აკადემია — თსუ 6:8.

ნახევარფინალები: „ზოლიანები“ — ზოვეტი 18:0 (8:0), „თბილისი“ — „თეთრები“ 8:4 (0:0).

მატჩი მესამე ადგილისათვის: „თეთრები“ — ზოვეტი 24:12 (10:6).

ფინალი: „ზოლიანები“ — „თბილისი“ 15:13 (8:0).

„ზოლიანები“: გაგნიძე, ღუდუშაური, ხუადე; ქერაული, თავაძე, ა. ხვედელიძე, ნ. ხვედელიძე.

„თბილისი“: ნ. მგელაძე, ობოლაძე, ვართანიანი; ჯანელიძე, მაჩიტიძე, ჩიქვინიძე, მარჯანიშვილი.

გოლები: ა. ხვედელიძე (6, ხაჯარიმო); მაჩიტიძე (9, არეკრნთ); მგელაძე (11, ლელო), მაჩიტიძე (გარდახახვა); ნ. ხვედელიძე (15, ლელო); ღუდუშაური (18, ლელო); ვართანიანი (19, ლელო); ა. ხვედელიძე (23, ლელო).

ხაბოლოო კლასიფიკაცია: 1. „ზოლიანები“, 2. „თბილისი“. 3. „თეთრები“, 4. ზოვეტი, 5. „მიმინო“, 6. ჭიათურა, 7. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 8. სამხატვრო აკადემია, 9. უნივერსიტეტი.

ახალს არაფერს ვიტყვით, თუ შევნიშნავთ, რომ ბოლო წლებში ძალისძალად გაწელილი საკავშირო ჩემპიონატის გამო მთლიანად ჩაშლილი გვაქვს საშინაო შეჯიბრებანი, დიდი ხარვეზებით, რის ვიანაჩრობით, ფაქტიურად, მოვალეობის მოხდის მიზნით ტარდება საქართველოსა და თბილისის ჩემპიონატები. ამგვარი არაფრისმომცემი ტურნირები კი იწვევენ იმას, რომ დღითიდღე ღრმავდება უფსკრული ქართველი მორაგბეების მასსა და იმ „რჩეულებს“ შორის, ვისაც საკავშირო სარბიელზე უწევს გასვლა. ამით ზარალდება მთელი ქართული რაგბი, რაკიღა კონკურენციის უქონლობის გამო ალარ გვეზრდებიან ოსტატები და დროდადრო ამა თუ იმ სათამაშო ამპლუაში ძლიერ მოთამაშეებს მოვისაკლისებთ ხოლმე.

როგორც არაერთხელ დაწერილა, მდგომარეობიდან გამოსავალი ჭეშმარიტად ეროვნული შეჯიბრებების შემოღება და საქართველოს ეროვნული ნაკრების მსოფლიო სარბიელზე გასვლაა. თუ მეორე საკითხის გადაჭრას კარგი პირი უჩანს, პირველი ჯერაც სერიოზული პრობლემაა. ეს თვალხათლივ გვიჩვენა „საშემოდგომო შვიდეულმ“. თამაშსა და ოფიციალურ შეჯიბრებას მონატრებულმა გუნდებმა — ჭიათურელმა. ჩუშა-მოსამსახურეებმა და თბილისელმა სტუდენტებმა სიხარულით აღიქვეს ახალი ტურნირის ტრადიციულად ქცევა, თბილისის „ელმავალი“ და აწ დაშლილი ასკ-იც პასუხისმგებლობით მოეკიდნენ „შვიდეულს“, საუკეთესო გუნდებთაც წარსდგნენ ასპარეზობაზე და თავდაუზოგავადაც ითამაშეს. რაც შეეხება სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონს — ქუთაისის „აიას“ და ქალაქის მეორე გუნდს — „აისს“, აი მათ კი თავიანთი გვიანი უარით ორგანიზატორებს საფუძვლიანად აურიეს გეგმა. ქუთათურებმა ხან რა მოიმიზეზეს, ხან — რა, დამყოლ ორგანიზატორებს ორჯერ კიდევაც გადაადებინეს შეჯიბრება, ბოლოს კი მაინც გატეხეს სიტყვა და თბილისს არ ჩამოვიდნენ. მოკლედ, ყველა სხვა მონაწილე მოთმინებით ელოდა ქუთაისელებთან შერკინებას, მათ კი შეჯიბრებას, სამწუხაროდ, თავი აარიდეს.

ალბათ, შეჯიბრებაზე სულ სხვა ხალისი და სულისკვეთება სუფევდა. ზამთრისპირის სუსხის მიუხედავად, თამაშების უმეტესობა შინაარსიანი გამოდგა. იყო მატჩები, როცა ერთურთს ტოლი და სწორი ერკინებოდნენ; ხანაც ერთი გუნდი მეორეს კი სჯობდა, მაგრამ გადამწყვეტ უპირატესობას მხოლოდ თამაშის მიწურულს აღწევდა. ასე სძლიეს „ზოლიანებმა“ ჭიათურის გუნდს, „თბილისმა“ და „თეთრებმა“ კი — ზოვეტს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სწორედ ჭიათურელთა და ზოვეტელთა კარგი თამაში გახდა ტურნირის ნამდვილი აღმოჩენა, საბოლოოდ კი ზოვეტმა იმდენიც მოახერხა, რომ სამი მეტოქის ძლევით პირველ ოთხეულში დაიმკვიდრა ადგილი.

და მაინც, „აიას“ ჩამოუსვლელობით შეჯიბრებას აშკარად დააკლდა მეოთხე ძლიერი გუნდი, რის გამოც ნახევარფინალები არატოლფასოვანი გამოდგა. „ზოლიანები“ იოლად გაუსწორდნენ ზოვეტს, „თბილის“—„თეთრების“ მატჩს კი დამსწრეთა უმეტესობა ნაადრევ ფინალად თვლიდა. მართლაც ყოფილმა არმიელებმა ისეთი შემართებით ითამაშეს, რომ „თეთრების“ სახელით მოასპარეზე „ელმავლის“ დაბრძენებულ მოთამაშეებს, რომ იტყვიან, ხელი არ გაანძრევინეს და ლელოებით ორით ერთზე მოუგეს.

მაგრამ მთავარი, თურმე, წინ იყო. „თბილის“ — „ზოლიანების“ ფინალმა ნამდვილად დაამშვენა ტურნირი. თამაშის განმავლობაში ხან ერთი გუნდი გადიოდა წინ, ხანაც — მეორე, მაგრამ მეორე ტაიმის ბოლო, მეათე წუთის დამთავრებას ხუთი წამი აკლდა, „ზოლიანებმა“ თავიანთი ნახევრიდან ბოლო ანგარიშმიუცემელი შეტევა რომ წამოიწყეს, რომელიც აღეკო ხვედელიძემ ნახტომში ლელოს გატანით დაადგინა, დაყოვნაურა თავისი გუნდი და რაკიღა მეტოქეს თამაშის ცენტრიდან გასაახლებლად დრო აღარ დარჩა, „ზოლიანებმა“ მეორედ მოიპოვეს გარდამავალი ჯილდო — სპილენძის ლანგარი.

ბოლოს შევნიშნოთ, რომ რაგბის პროპაგანდის მიზნით ამგვარი ტურნირები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავლად უნდა მოეწყოს, წელიწადში ერთხელ კი (სავარაუდოდ მაისში) ყველა ქართული გუნდი, განურჩევლად მოხვეჭილი ტიტულებისა, რაგბის ეროვნულ ზეიმზე უნდა შეიკრიბოს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე, რომლის კოლექტივის გულისხმიერება რომ არა, წლევანდელ შეჯიბრებას გამართვა არ ეწერა.

* * *

ფინალური შეხვედრა: „ზოლიანები“ — „თბილისი“. აღეკო ხვედელიძეს გადამწყვეტი ლელო გაჰქონ ბოლო წამებზე.

გია ახალაძის ფოტო.

ოლიმპიური სახეობა უგულუბოდ?

ალბათ იშვიათია ოჯახი ბადმინტონის კომპლექტი რომ არ ჰქონდეს, მაგრამ, მოდით, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, ვის უყურებია სპორტის ამ სახეობის ოსტატთა შეჯიბრებისთვის? დარწმუნებული ვართ, დადებითად მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გვიპასუხებს, არადა, ბადმინტონი, სპორტის ეს უძველესი სახეობა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამაზე ნათლად მეტყველებს ისიც, რომ კომერციული თვალსაზრისით იგი ხუთეულში შედის.

ნათქვამია, გემოვნებაზე არ დავობენო, მაგრამ იმისთვის, რომ რაიმე უარყო ან მიიღო, ობიექტური საფუძველი უნდა გქონდეს. იმას ვგულისხმობთ, რომ ამ სახეობაში ასპარეზობა ერთხელ მაინც უნდა გქონდეს ნანახი.

სამწუხაროდ, საკავშირო პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ჩემპიონატზე, რომელსაც თბილისმა უმასპინძლა და რომელშიც ქვეყნის არაერთი უძლიერესი ბადმინტონისტი მონაწილეობდა, გულშემატკივრის ჭაჭანება არ იყო. სპორტსმენები თვითონვე გულშემატკივრობდნენ ერთმანეთს. რა იყო იმის მიზეზი, რომ ბადმინტონისტთა შეჯიბრებას ქართველმა გულშემატკივრებმა ასე ერთსულოვნად შეაქციეს ზურგი და იოტის ოდენა ინტერესიც კი არ გამოიჩინეს? საქმე ისაა, რომ შეჯიბრება ჩატარდა ვარკეთილის სასწავლო-საწვრთნელ ცენტრში, სადაც მისვლა არც თუ ისე ადვილია. ეს სიძნელეებიც რომ დაეძლიათ გულშემატკივრებს, დასაჯდომს ვინ ჩივის, დარბაზში დასადგომი ადგილიც არ „იყო, რადგან სარბიელი მხოლოდ და მხოლოდ წვრთნისთვისაა განკუთვნილი.

მოვუსმინოთ ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატს ვლადიმერ ლევიცს (მას პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიენიჭა ბადმინტონის შესახებ შესანიშნავი სახელმძღვანელოს შექმნისათვის), რომელსაც აღუზრდია არაერთი მაღალი რანგის ბადმინტონისტი, მათ შორის ევროპული მასშტაბის „ვარსკვლავი,“ საბჭოთა კავშირის თხუთმეტგზის ჩემპიონი ანატოლი სკრიპკი.

— გული დამწყვიტა იმან, რომ შეჯიბრებას გულშემატკივრები არ ესწრებოდნენ, — გვეუბნება ვ. ლევშიცი. — მაგალითად, მოსკოვში ასეთი რანგის ასპარეზობაზე ბილეთის შოვნაც კი ჭირს, კარგი იქნებოდა ასპარეზობა ჩატარებულიყო ცენტრში, ვთქვათ, სპორტის სასახლეში, სადაც მაყურებელს მოსვლა არ გაუჭირდებოდა, მით უმეტეს, რომ ქართველებს გყავთ ისეთი შესანიშნავი ოსტატი, როგორიც დავით კავილაძეა. დავითი ამჯერად ჩემს მიერ შექმნილი საკავშირო პროფკავშირების ექსპერიმენტული ნაკრების წევრია. ჩვენი მიზანია 1992 წლის ოლიმპიადაზე, სადაც პირველად გაიმართება შეჯიბრება ბადმინტონში, საბჭოთა ნაკრების კანდიდატები მოვამზადოთ. სხვათა შორის, ამავე ექსპერიმენტულ ნაკრებშია ბათუმელი პერსპექტიული ვოგონა, 14 წლის რიგინა არამიანცი. მან წლეულს გამართულ ევროპის პირველობაზე პროფკავშირთა გუნდებს შორის თავი გამოიჩინა როგორც ძალიან ნიჭიერმა, ფეთქებადი ხასიათის სპორტსმენმა. მისმა გამოსვლამ ხელი შეუწყო გუნდის გამარჯვებას. რაც შეეხება დავითს, იგი თვალდათვალ იზრდება. მას უკვე შეუძლია პროფესიონალთა შეჯიბრებებშიც გამოვიდეს. დავითი ინტელექტუალური სპორტსმენია, სიტუაციის მიხედვით შეუძლია ცვლოს საბრძოლო ტაქტიკა და, რაც ყველაზე მთავარია, აქვს პოტენციური რეზერვი, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ არაჩვეულებრივად კეთილი ადამიანია. გულდასაწყვეტია, რომ ამ სპორტსმენს საქართველოში კონკურენტი არა ჰყავს, რომ მასთან ურთიერთობაშიც დასტტტდეს. ცალკე მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში ბოლო ორ წელიწადში კვალიფიციური მწვრთნელები მომრავლდა. და ერთიც —თუ საქართველოში ამას მოისურვებენ, მერწმუნეთ, შეიძლება თბილისში ბადმინტონის პოპულარიზაციის მიზნით საერთაშორისო შეჯიბრება ჩატარდეს. დამერწმუნეთ, სპორტის ეს სახეობა ძალიან ახლოსაა ქართულ ხასიათთან, მის უზომო ტემპერამენტთან და მჯერა, რომ ბადმინტონს ბევრი თაყვანისმცემელი გაუჩნდება.

შეჯიბრების შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ მთავარ მსაჯს, ქალაქ უსტაკამენგორსკის ოლქის ბადმინტონის ფედერაციის თავმჯდომარეს კარენ ნარიმანს...

— დავით კავილაძეს ნახევარფინალში და ფინალში ძლიერი მოწინააღმდეგეები შეხვდნენ, — თქვა კარენ ნარიმანმა, — იგორ სიდოროვთან, რომელიც საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრია და ძლიერთა ექვსეულშია, დავითმა პირველი პარტია მოიგო. სამწუხაროდ, მომდევნო შეხვედრები დათმო. ამის მიზეზი, ვფიქრობ, ის იყო, რომ იგი დაღლილი გამოიყურებოდა, რადგან 20 წუთის წინ მოსკოველი სამა კურობკინი დაამარცხა (2:1) და ძალების აღდგენა ვერ მოასწრო. რაც შეეხება მესამე ადგილისთვის ბრძოლას — დავითმა იგი შეუპოვარ ბრძოლაში დათმო, ასევე საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრ სვერდლოვსკელ ვლადიმერ სმოლინთან (იგი კლასიფიკაციით დავითზე მაღლაა). მიუხედავად ამისა, თბილისელი სპორტსმენის მეოთხე ადგილი საკმაოდ კარგი შედეგია. სამაგიეროდ, თბილისელმა სპორტსმენმა წყვილთა შორის (მისი პარტნიორი იყო მოსკოველი ნიკოლაი კალინსკი) მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, საქართველოს ნაკრების დანარჩენი წევრები ათეულს მიღმა დარჩნენ. ქალებში პირველი ადგილი მოიპოვა ელენა რიბკინამ (მოსკოვი), ვაჟებში — ვლადიმერ ნიკოლენკომ (ყარაგანდა). ქალთა წყვილებში უძლიერესები იყვნენ ტატიანა ეროფეევა (სვერდლოვსკი) და ირინა კლიმენკო (გორკი), ვაჟთა შორის ვლადიმერ სმოლინ (სვერდლოვსკი) და ალექსანდრე სიდოროვი (გორკი). შერეულ წყვილთა შორის გაიმარჯვეს ტატიანა ეროფეევამ და ვლადიმერ სმოლინმ.

დიახ, ბადმინტონი ოლიმპიური სახეობაა! ეს კი არ გვაძლევს უფლებას ამ სახეობის მიმართ „ოლიმპიური სიმშვიდე“ გამოვიჩინოთ.

ჯემალ კასრაძე.

ს უ რ ა თ ებ ზ ე: **ახპარეზობის მომენტები.**

ავტორის ფოტოები.

ჩვენი ენა, ქართული...

შეაყარე კედელს ცერცვი...

არა, სრულებითაც არ გვინდა გულისწყრომა შევარბილოთ იმ ორგანიზაციის მიმართ, რომელიც გულგრილად ეკიდება ქართულ ენას, მის სახელმწიფოებრივ სტატუსს. ქვემოთ ვისაუბრებთ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „ლოკომოტივის“ ყოველად უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზე ქართული ენისადმი. დახედეთ ამ მოსაწვევ ბარათს, რომელიც რუსულ ენაზეა შედგენილი. მეტი საბუთი რაღა გინდათ გულისწყრომის გასამართლებლად. ამ სპორტულ ორგანიზაციას გადაუწყვეტია ჩაატაროს სპორტული კლუბის პირველი საგაზაო კონფერენცია და სათანადო დოკუმენტების შედგენისას სრულიად დავიწყებია, რომ კლუბი საქართველოშია და კონფერენციაც თბილისში ტარდება, დავიწყებია საქართველოს სპორტსახკომის საგანგებო ბრძანებაც, რომელიც რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციებისგან მოითხოვს ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვას. იქნებ ვინმე შემოგვედავოს და გვითხრას, რას ერჩით ამ ხალხს, კლუბი ამიერკავკასიისაა (ემსახურება საქართველოსა და სომხეთის რკინიგზის ორგანიზაციებს) და რუსულ ენაზეც ამიტომ შეუდგენიათ მოსაწვევიც და დღის წესრიგიც. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, თუ ინტერნაციონალური პრინციპის დაცვა აუცილებელი გახდა, იმავე მოსაწვევი ბარათის ცალ მხარეს მაინც ქართულად რატომ არ დაიბეჭდა შესაბამისი ტექსტი? იქნებ სხვა ისეთი დოკუმენტი გვიჩვენონ, სადაც ჩაწერილია, რომ ასეთ შემთხვევაში უპირატესობა (?!) უნდა მიენიჭოს რუსულ ენას? არა, ასეთ დოკუმენტს ვერავინ გვიჩვენებს. მაშ, რა ხდება? რატომ შედგა ყველაფერი მხოლოდ არაქართულ ენაზე? ეტყობა, ვინმეს ჰგონია, რომ ახლა უფრო ვასიამოვნებთ მოძმე რესპუბლიკიდან მოწვეულ დელეგატებს (ჩვენ არა გვგონია) და ცენტრიდან მოვლენილ სტუმრებს (ეს შეიძლება).

როდემდე უნდა ვეკიდებოდეთ გულგრილად ჩვენს ეროვნულ ინტერესებს? კიდევ რა დოკუმენტი უნდა მივიღოთ, რომ საქართველოში ქართულმა იქართულოს?

„ლოკომოტივი“ სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ხიხტმახ რგოლია. იცოდნენ კი ზემდგომ სპორტულ ინსტანციაში ქვემდგომთა ასეთი თვითნებობის შესახებ?

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ПРИГЛАСИТЕЛЬНЫЙ БИЛЕТ

Уважаемый тов _____

ДФСК "Локомотив" Управления ЗКВ ж.д. приглашает Вас принять участие в работе I Дорожной Конференции Дорожного физкультурно-спортивного клуба "Локомотив".

Конференция состоится 21 ноября 1989 года в клубе Управления ЗКВ ж.д. (пр.Царицы Тамары д.15 Ш этаж).

Начало работы конференции в 11^{00} часов местного времени.

Совет ДФСК "Локомотив" Управления

ЗКВ ж.д.

ოცდახუთი და... ოცდახუთი

(დასასრული)

ეკრებიდან ასევე ნაადრევად წასულ, დიდებულ ფეხბურთელს, დინამოელთა 1964 წლის გუნდის უფროსს ავთანდილ ღოღობერიძეს, ანდა განუმეორებელ ფეხბურთის კომენტატორს, მართლაც რომ სახალხო არტისტს (როგორც იმ საღამოს კოტე მახარაძემ უწოდა), ჩვენს ეროსი მანჯგალაძეს.

25 წელი გასულა, ოთხნი კი უკვე აღარ არიან ამ ქვეყნად.

ეკრანზე „ოქროს მატჩის" 15-წუთიანი ფირი უჩვენეს — ნახევარჩაბნელებული, მაგრამ მაინც ამაღელვებელი და საამაყო. აი, პირველი გოლი, მეორე, მესამე, მეოთხე ბურთი ტორპედოელთა კარში. აი, რიგელმა არბიტრმა მიკელის რუბენისმა მაღლა აღმართა ხელები — თბილისის „დინამო" პირველად გახდა ქვეყნის ჩემპიონი. მეორე წუთს კი დარბაზში შეკრებილებმა ოვაცია გაუმართეს უკვე სცენაზე გამოსულ საკავშირო კატეგორიის მსაჯს, 55 წლის სპორტულ ჟურნალისტს მ. რუბენისს, რომელმაც ქართველი გულშემატკივრების ზეიმში მიიღო მონაწილეობა. გული დაგვწყდა მხოლოდ, რომ იგივე ვერ მოახერხეს თბილისელთა 1964 წლის შემადგენლობის მწვრთნელებმა გავრილ კაჩალინმა და მიხაილ იაკუშინმა. ასე რომ, მწვრთნელთა „კორპუსს" ამ საღამოს მხოლოდ ალექსანდრე კოტრიკაძე წარმოადგენდა.

იუბილარებს დიდი გამარჯვების 25-წლისთავი პირველმა თბილისის მთავარმა მხატვარმა, საქართველოს სახალხო მხატვარმა, ძველმა ფეხბურთელმა (იგი ქუთაისის „დინამოს" მეკარე იყო) ოთარ ლიოთანიშვილმა მიულოცა, მერე „დინამოს" გუნდის უფროსმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვლადიმერ გუცაევმა გულთბილ სიტყვასთან ერთად თავიანთი კლუბის სახელით სამახსოვრო სახელობითი საათები გადასცა უფროს დინამოელ კოლეგებს („ტაშკენტის მატჩის დღეებში მხოლოდ 11 წლისა ვიყავიო") და ძვირფას სტუმარს, რიგელ მსაჯს („მაღალკვალიფიციური, ობიექტური მსაჯობისათვის... დაგვიანებით 25 წლის შემდეგ"). მ. რუბენისმაც სიტყვით მიმართა ზეიმის მონაწილეებს:

— ფიფა-ს წესების თანახმად მსაჯებს ეკრძალებათ ძვირფასი საჩუქრების მიღება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ტაშკენტის მატჩის შემდეგ მთელი მეოთხედი საუკუნე გავიდა... ერთი სიტყვით, დიდ მადლობას მოგახსენებთ. იმ დაუვიწყარი შეხვედრის ფირი მეც მაქვს, თუმცა თქვენს დღევანდელ ფირზე გაციცებით უკეთაა შემონახული — ეტყობა საქართველოში მას ძალიან ხშირად „ატრიალებთ". მართლაც ლამაზი ფეხბურთი იყო იმ დღეს. საერთოდ, უწინ ფეხბურთის ხილვა უფრო სასიამოვნო გახლდათ.

შეკითხვაზე, თუ როგორ შეხვდა „ცენტრი" მის „ტაშკენტურ" მსაჯობას, მ. რუბენისმა გულახდილად უპასუხა: მთელი 12 წელიწადი აკრძალული მქონდა თბილისში ჩამოსვლა და მსაჯობა. აი, უშუალოდ მატჩის შემდეგ კი ანდრეი სტაროსტინმა პირდაპირ მითხრა — „პენალტი არ უნდა დაგენიშნა, სამით ერთი ხომ ჯერ საბოლოო გამარჯვებას არ ნიშნავდაო!" მაშინ არაფერი ვუპასუხე, თუმცა კი გავიფიქრე: „მკვდარ ცხენს აბა რა შოლტი წამოაყენებს?!" საერთოდ კი მიმაჩნია, რომ საქმისათვის ჯობს, როდესაც შენს მოქმედებაში სხვა არ ერევა. აბა, რად გვინდა მითითება ზემოდან: ვის მივცეთ პასი, ვინ გაიტანოს გოლი, რამდენი ბურთი გაიტანოს და სხვა.

საინტერესო იყო „ოქროს" გუნდის მწვრთნელის ალექსანდრე კოტრიკაძის გამოსვლა. მან რამდენიმე საგულისხმო ეპიზოდი გაიხსენა „ტაშკენტური დღიურიდან". იუბილართ მიესალმა აგრეთვე საღამოს ორგანიზატორი — გულშემატკივართა კლუბის პრეზიდენტი გურამ ქავთარაძე.

დინამოელ ვეტერანებს გულთბილად მიესალმნენ და თავიანთი ხელოვნებით კიდევ ერთხელ მოგვიხიბლეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ოთარ მელვინეთუხუცესმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა მედეა ძიძიგურმა, ვაჟა აზარაშვილმა და ირაკლი უჩანეიშვილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა. არტისტებმა მერაბ დონაძემ, ამირან ბუაძემ და ავთანდილ მიქაძემ, მომღერლებმა ეკა მამალაძემ, ეკა კვალიაშვილმა და გოგი დოლიძემ, ვოკალური ანსამბლის „ჟურნალისტის" წევრებმა, აკომპანიატორებმა სერგო ნაცვალაძემ (გიტარა), ია კერესელიძემ და ნინო ჯანელიძემ (ფორტეპიანო). საინტერესო, უშუალო და მეტად გულახდილი საღამო-იუბილე ჩვეული ოსტატობით მიჰყავდა ცნობილ სპორტულ კომენტატორს, საქართველოს სახალხო არტისტს კოტე მახარაძეს.

პირთამდე სავსე თეატრში შეკრებილთაგან ზოგიერთმა სინანული გამოთქვა, რომ ეს საღამო უფრო დიდ დარბაზში, ვთქვათ, სპორტის სასახლეში არ ჩატარდა. სხვა დროს ასეთი შენიშვნა, ჩვენი აზრით, სამართლიანი იქნებოდა, მაგრამ დღევანდელ ჟამს, ვფიქრობთ, დიდი ზარზეიმებისა და გართობა-ლაღობის დრო არა გვაქვს. აი, ასეთი უპრეტენზიო, მაგრამ მეტად გულთბილი საღამოს გამართვა — თბილისის „დინამოს", ფეხბურთელთა მიერ 25 წლის წინათ (რა დრო გასულა, მართლაც!) მოპოვებული პირველი დიდი გამარჯვების ასე თუ ისე აღნიშვნა მაინც აუცილებელი იყო.

ოთარ ნოზაძე.

მრავალეროვნული ბიბლიოთეკა

თაყვანისმცემლები; თბილისის „დინამოს" დღევანდელი თაობის სახელით ეთანაკლუბელებს მიესალმა ვ. გუცაევი. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



მიკელის რუბენისი — 1964 წლის 18 ნოემბრის მატჩის მთავარი „მსაჯული".

ულოცავენ ჟურნალისტები.

ИТАЛИА-90

ცნობილია ქვლა ფინალისტი



19 ნოემბერს გამოვლინდა ფეხბურთში 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური გათამაშების ბოლო, 24-ე მონაწილე, ამით დამთავრდა შესარჩევი ციკლის თამაშები, რომლებსაც უნდა დაედგინა ფინალისტთა ვინაობა.

ბოლო ფინალისტი უნდა გამოვლინა ტრინიდადისა და ტობაგოს და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდების შეხვედრას. ამერიკელებმა სტუმრად ანგარიშით 1:0 დაამარცხეს მეტოქე და კონკაკაფ-ის ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს კოსტა-რიკის ნაკრების შემდეგ. წინა დღეს კი ტუნისში ერთმანეთს შეხვდნენ ტუნისისა და კამერუნის გუნდები. კამერუნელ ფეხბურთელებს პირველი მატჩი თავიანთ მინდორზე მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 2:0, მათ ტუნისშიც გაიმარჯვეს (1:0) და აფრიკის კონტინენტის კუთვნილ ფინალის მეორე საგზურს დაეუფლნენ.

ამრიგად, ცნობილია მსოფლიოს XIV საფეხბურთო ჩემპიონატის ყველა, 24-ივე მონაწილე: იტალია, არგენტინა, კოსტა-რიკა, იუგოსლავია, ინგლისი, შვეიცია, ბელგია, ბრაზილია, ურუგვაი, სამხრეთ კორეა, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, ესპანეთი, კოლუმბია, სსრ კავშირი, ავსტრია, რუმინეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ჰოლანდია, ჩეხოსლოვაკია, ირლანდია, შოტლანდია, ეგვიპტე, კამერუნი, ამერიკის შეერთებული შტატები.

სსრ კავშირის თასზე

ბასულ შაბათს მინსკში შედგა სსრ კავშირის 1990 წლის თასის გათამაშების საპასუხო მერვედფინალური შეხვედრა ადგილობრივ „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკს" შორის. თამაში მიმდინარეობდა მოყინულ მინდორზე, მინსკელმა ფეხბურთელებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება ანგარიშით 1:0. პირველი მატჩი მეტოქის მინდორზე მათ წააგეს ანგარიშით 1:2, მაგრამ ორი შეხვედრის ჯამში, სწორედ მეტოქის მინდორზე გატანილი გოლის მეოხებით, მოიპოვეს საერთო უპირატესობა და მეოთხედფინალში გავიდნენ.

საკავშირო პრესაში გამოქვეყნდა საკდესის ცნობა იმის თაობაზე, რომ სსრ კავშირის საფეხბურთო თასის საპასუხო მერვედფინალურ მატჩში გამოუცხადებლობისათვის ოდესის „ჩერნომორეცს" დამარცხება ჩაეთვალა მოსკოვის „ტორპედოსთან" ანგარიშით 0:3 და ორი შეხვედრის ჯამში გამარჯვება წილად ხვდა მოსკოვის „ტორპედოს".

როგორც გამოირკვა, ასეთი შემთხვევებში საბოლოო გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ, ამიტომაც მოსკოვის „ტორპედოსა" და ოდესის „ჩერნომორეცის" შეხვედრათა თაობაზე იმსჯელებს სპორტტექნიკური კომისია და საბოლოო დასკვნასაც ის გამოიტანს.

თანრიგები ფეხბურთელ ქალთათვის

სსრ კავშირის სპორტსახკომმა დამატებანი შეიტანა ერთიან საკავშირო სპორტულ კლასიფიკაციაში ქალთა ფეხბურთში თანრიგების მიკუთვნების შესახებ.

ფეხბურთელ ქალებს სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭებათ თუ მოთამაშე სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გამოვა, სადაც გუნდი III-IV ადგილებს დაიკავებს ევროპის ჩემპიონატზე, ან ნაკრები გუნდების დონეზე 5 საერთაშორისო მატჩს ჩაატარებს. დაწესებულია, აგრეთვე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება ფეხბურთელი ქალებისთვის. ეს წოდება მიენიჭება სსრ კავშირის ნაკრების წევრებს, თუ გუნდი პირველ ან მეორე ადგილს დაიკავებს ევროპის ჩემპიონატში.



უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **ირლანდიის** ნაკრების თავდამსხმელი ფრანკ სტეპლტონი უკვე ორჯერ გამოეთხოვა ფეხბურთს. შედგა მისი საბენეფისო მატჩიც, რომელშიც ქვეყნის ნაკრები უცხო ფეხბურთელთაგან შედგენილ გუნდს ეთამაშა. მიუხედავად ამისა, სტეპლტონი კვლავ აგრძელებს თამაშს. საფრანგეთის „ჰავრში" გატარებული მცირე ხნის შემდეგ (იქ სტეპლტონს ოჯახური პრობლემები გაუჩნდა) იგი ინგლისში დაბრუნდა და ახლა II დივიზიონის კლუბ „ბრისტოლ როვერსში" თამაშობს. ჟურნალისტებთან საუბარში გაირკვა, რომ სტეპლტონი იტალიის მსოფლიო პირველობამიც აპირებს გამოსვლას.

● **დანიის** ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი თავდამსხმელი ლარს ელსტრუპი, რომელმაც განსაკუთრებით ძლიერად ითამაშა ზაფხულში ბრაზილიისა და შვეიცის ეროვნული გუნდების წინააღმდეგ, ახალ სეზონში ინგლისში აღმოჩნდა. ეს მისი მეორე უცხოური კონტრაქტია. პირველად ელსტრუპი ჰოლანდიის „ფეიენოორდში" გამოდიოდა, მაგრამ სუსტად ჩატარებული სეზონის შემდეგ შინ დაბრუნდა. ამჯერად იგი „ლუთონ თაუნმა" იყიდა. პირველ თამაშებში დანიელ ფორვარდს საკმაოდ მაღალი შეფასება მისცეს.

● **ბურ-ის** პირველობაში დიუსელდორფის „ფორტუნა" მეორეხარისხოვან კლუბად ითვლება. სიტუაციის გამოსასწორებლად ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოიყვანეს პაველ ჰალუპკა და პეტრ რადა, რომლებსაც ქვეყნის ნაკრებში თამაშის დიდი გამოცდილება აქვთ. ჩეხებმა საკმაოდ გააძლიერეს „ფორტუნას" დაცვითი რიგები, მაგრამ კლუბის მწვრთნელი რისტიჩი უკვე მათ შემცვლელებს ეძებს. „რადა" და ჰალუპკა გამოგვადგნენ, მაგრამ ისინი კრიტიკულ ასაკს უახლოვდებიან, ჩვენ კი ხვალინდელ დღეზე ზრუნვა გვმართებს" — განაცხადა მან. ამიტომ 250 ათას მარკად ნორვეგიის „ბოსში" შეიძინა 22 წლის მცველი რუნე ტანგენი.

● **ბურ-ის** ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ჰანს-პეტერ ბრიგელი ორი წლის წინ გააცილეს დიდი ფეხბურთიდან. ახლა იგი ბუნდესლიგის დებიუტანტ „ჰომბურგის" მენეჯერია. ბოლო ცნობებით, ახალი კონტრაქტი ელოდება. შვეიცარიის მეორე დივიზიონის კლუბი „გლარუსი" ბრიგელს მთამაშე მწვრთნელის პოსტს სთავაზობს.

(ნაკ. ინფ.)

ს.ჟ. საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები: „არაგვი" (დუშეთი) — „მზიური" (გალი) 1:2, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სულორი" (ვანი) 2:1, „არმაზი" (მცხეთა) — „დინამო" (ზუგდიდი) 2:1, „იკერია" (ხაშური) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 2:2, „ბატერიონი" (ახმეტა) — „შადრევანი" (წყალტუბო) 2:3, „სქური" (წალენჯიხა) — „დინამო" (გაგრა) 2:1, „მაღაროელი" (ტყიბული) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 0:1, „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 3:0, „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „სიონი" (ბოლნისი) 6:1.

ფინალისტთა ახალი წარმატება

ბაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ნაკრებმა, რომელმაც უკვე გაიანაღდა ევროპის ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება, გაწვალილ კვირას ნიქოზიაში ამ შეჯიბრების მორიგი შესარჩევი შეხვედრა გამართა კიპროსის გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1.

„ხალხთა მეგობრობის" ტურნირზე

უირიშში დასასრულს მიუახლოვდა საერთაშორისო ტურნირი „ხალხთა მეგობრობის" პრიზზე. ტურნირის ნახევარფინალში საქართველოს ზოოტექნიკურ-საველეერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის გუნდი ტირასპოლის „ტექსტილშიკს" შეხვდა (ამ გუნდმა სულ ახლახან მეორე ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ფინალურ ტურნირში გაიმარჯვა და საგაისოდ I ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა). მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ დამთავრდა — 0:0. დანიშნა დამატებითი პენალტების სერია, აქ უფრო ზუსტნი ტირასპოლელი ფეხბურთელები აღმოჩნდნენ, რომლებმაც თამაში მოიგეს ანგარიშით 5:4 და ფინალში გავიდნენ.

დანინაურდა მსოფლიო ჩემპიონი

იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა დიდ საერთაშორისო ტურნირს 5 ტურის შემდეგ ოთხი ქულით ლიდერობს მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი. მას ნახევარნახევარი ქულით ჩამორჩებიან ელვესტი და იუსუპოვი. 3-3 ქულა მოაგროვეს შორტმა, ჰიარტარსონმა და ტომანმა.

ინფორმაცია

პრაღაში ორ დღეს გაგრძელდა საერთაშორისო ტურნირი ე.წ. სწრაფ ჭადრაკში (30-30 წუთიანი პარტიები). შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად ჩატარდა (36 მოჭადრაკე). 9 ქულით ტურნირში გამარჯვება ა. როტშტეინმა მოიპოვა. II-III ადგილები გაიყვეს თბილისელმა კ. ვეფხვიშვილმა და ე. როტშტეინმა — 8,5-8,5 ქულა. დ. ჯაფარიძემ (თბილისი) 6 ქულით დაამთავრა შეჯიბრება.

მსოფლიოს პირველმა ჩოგბურთელმა ქალმა, 20 წლის დასავლეთგერმანელმა შტეფი გრაფმა პრწყინვალედ დაამთავრა 1989 წლის სეზონი. მან, ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ მოიგო „ვირჯინია სლიმზის“ ფინალური ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს 16 უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობდა. გადამწყვეტ შეხვედრაში იგი შეხვედა 33 წლის მარტინა ნავრატილოვას (აშშ) და გაიმარჯვა — 6:4, 7:5, 2:6, 6:2. ფინალური მატჩი გაიმართა ქალთა ჩოგბურთისთვის უჩვეულო ფორმულით (5 ხელი). ამ ტურნირში გრაფმა პრიზის სახით მიიღო 125 000 დოლარი, სულ კი წლევანდელ სეზონში გამოიმუშავა 1.763.905 დოლარი.

„სპორტლოტო“

19 ნოემბერს გაიმართა „სპორტლოტოს“ 1989 წლის მოგები, 47-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 4 (კრივი), 15 (ბაიდარებითა და კანონებით ნიჩბოსნობა), 17 (ციგურაობა), 29 (სასტენდო სროლა), 38 (ალპინიზმი), 44 (ჭადრაკი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 6 (ძიუდო), 15 (ბაიდარებითა და კანონებით ნიჩბოსნობა), 17 ციგურაობა), 18 (მძლეოსნობა), 29 (სასტენდო სროლა).

ფეხბურთის თემაზე







ჟურნალ „სტადიონიდან“ (ჩეხოსლოვაკია).

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

მაიკ ტაისონის ავტოპორტრეტი

მაიკ ტაისონის მიერ სხვადასხვა დროს მიცემული ინტერვიუები დიდი გულახდილობით გამოირჩევა. ზოგიერთი პასუხის ფაქტობრივი მხარე შესაძლოა მოძველებული იყოს (მაგალითად, ტაისონი უკვე გაეყარა თავის მეუღლეს, კინომსახიობ რობინ გივენს), მაგრამ მოკრივის გამონათქვამები ამ შემთხვევაშიც საინტერესოა — ისინი ახალი შტრიხებით ამდიდრებენ დიდი სპორტსმენის მიერ შეუღალავ ზებლად დახატულ რთულ და წინააღმდეგობრივ ავტოპორტრეტს.

დღეს მას ვერავინ შეედრება. 37 ბრძოლა ჩაატარა და 37-ვე მოიგო. აქედან — 32 ნოკაუტით. ბოლო მოწინააღმდეგეებიდან ფრენკ ბრუნო მეხუთე რაუნდში დაამარცხა, კარლ უილიამსი — 93 წამში, უფრო ადრე კი სულ რაღაც 91 წამი დასჭირდა მაიკლ სპინქსის ნოკაუტში ჩასაგდებად. ღირსეული მეტოქე რომ ვერ მოუძებნეს, პროდიუსერი დონ კინგი შეეცადა მოეწყო მისი მატჩი ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავი ტონი მანდარიჩთან (სიმაღლე — 195 სმ, წონა — 140 კგ), ხოლო კრივის სპეციალისტები წარსულის განთქმულ მებრძოლებს ადარებენ, მაგრამ, საერთო აზრით, აქაც არავინ არის მისი ბადალი, ლეგენდარული ჯო ლუისის გარდა. ახლახანს ოჰაიოს უნივერსიტეტმა (აშშ) ოთხი კლასის განათლების მქონე 23 წლის მაიკ ტაისონს „სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის“ საპატიო წოდება მიანიჭა და თავისი გადაწყვეტილება იმით დაასაბუთა, რომ მოკრივეს დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკელ ახალგაზრდობაში გავრცელებული ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყველაფერი კი 1985 წლის 4 ნოემბერს დაიწყო. ნიუ-იორკის ერთ-ერთ ჰოსპიტალში 77 წლის ასაკში კვდებოდა კრივის ლეგენდარული მენეჯერი „ჩემპიონთა მჭედელი“ კუს დ' ამატო, მასთან მხოლოდ მოხვედრაც კი, სულ ცოტა, 70 პროცენტით გარანტირებულ წარმატებას ნიშნავდა. მისი „სამჭედლოდან“ გამოვიდა ფლოიდ პატერსონი — 60-იანი წლების პროფესიული რინგის გმირი. მომაკვდავი მენეჯერის სარეცელთან მუხლებზე მდგომი 19 წლის მაიკ ტაისონი ამბობდა: „მამა, ვფიცავ, რომ ჩემპიონი გავხდები, ვიდრე 21 შემისრულდებოდა. მე ფლოიდზე მეტს მივაღწევ, მამა“.

● რატომ „მამა“? განა დ' ამატო თქვენი ნათესავი იყო?

— კუს დ' ამატომ მიშვილა. მის სახლში გაიარა ჩემმა მეორე ბავშვობამ, მას შემდეგ, რაც დედა გარდამეცვალა და ორი წელი „ტრაისონის“ გამოსასწორებელ სახლში დავყავი.

● „ტრაისონამდე“ რა იყო?

— ბრუკლინში, ნიუ-იორკის ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ უბანში გავიზარდე...

● მაშასადამე, რასაც თქვენს, ლამის განგსტერულ, ბავშვობაზე ლაპარაკობენ და წერენ სიმართლეა?

— არა, განგსტერად გახდომა ვერ მოვასწარი, საამისოდ ძალიან პატარა ვიყავი. უბრალოდ, ვიპარავდი სანოვაგით დატვირთულ ურიკებს, ვტრიალებდი სუტენიორებისა და ათასი ჯურის საეჭვო ტიპების წრეში, ზოგჯერ ისეთ ამბებში გავხვეულვარ, რომ თავის გადასარჩენად თავქუდმოგლეჯილს მირბენია. 14 წლისას ქვეყნად არავისი მეშინოდა.



მაიკ ტაისონის (მარცხნივ) შეხვედრის ერთ-ერთი ეპიზოდი.

● გამოსასწორებელ სახლში როგორ მოხვდით?

— სავაჭროს მეპატრონეს წავეკინკლავე, რაღაც თვალში არ მომივიდა. ჯიბეში რევოლვერი მედო, ჰოდა ამოვიღე და პირდაპირ საფეთქელზე მივადე. „ტრაისონში“ მოხვედრა, მაინც, ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ბედნიერ შემთხვევითობად მიმაჩნია. სწორედ იქ აღმომაჩნდა მოკრივის ნიჭი. 1979 წელს კი ბობი სტიუარტმა ხელი მომკიდა და კუს დ' ამატოსთან მიმიყვანა.

● შემდეგ რა მოხდა? გახსოვთ თქვენი პირველი გამოსვლა რინგზე?

— ეს რაღაც აფეთქების ან გაელვების მაგვარი რამ იყო, კიდევ — ერთი ნახვით შეყვარებას ჰგავდა. მაგრამ ბედნიერი დრო მალე დამთავრდა. 15 წლისა ვიყავი, დედა რომ გარდამეცვალა. ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი, ყველაზე საშინელი უბედურება, ყველაზე მძიმე დღეები. ჯერ კიდევ არ შევგუებოდი თავსდატეხილ მწუხარებას, არადა, ამავე დროს, საჭირო იყო თავი მომეთოკა და მეზრუნა კუს დ' ამატოსა და მისი ნათესავი კამილასათვის ავტორიტეტის მოსაპოვებლად. სწორედ მაშინ მიშვილა კუსმა და მათი ოჯახის წევრი გავხდი. უცნაური რამ არის ცხოვრება: ერთის მხრივ, სამარადჟამოდ მარტო დავრჩი, მეორე მხრივ, ბედის წარმოუდგენელმა ცვალებადობამ მსოფლიოს ყველაზე მდიდარ სპორტსმენად მაქცია.

● რა მოხდა დ' ამატოს სიკვდილის შემდეგ?

— მის სახლში მარტო დავრჩი საცხოვრებლად. მაშინ პროფესიულ რინგზე სულ რაღაც თერთმეტი ბრძოლა მქონდა ჩატარებული. სამაგიეროდ, ერთი წლის შემდეგ, 1986 წლის 22 ნოემბერს ფიცი შევასრულე — ორ რაუნდში დავამარცხე კანადელი ტრევორ ბერბიკი. იმ დროისთვის 20 წლის, 4 თვისა და 22 დღის ვიყავი. ფლოიდ პატერსონი კი 21 წლის და 10 თვის იყო, უმაღლესი ტიტული რომ მოიპოვა. ასე რომ, ვჯობე ფლოიდს.

● ვინ გახდა თქვენი მენეჯერი დ' ამატოს სიკვდილის შემდეგ?

— კუსმა პასუხისმგებლობა, ჩემი ბედის გამო, ორ ადამიანს — ჯიმ ჯაკობსა და ბილ კაიტონს — დააკისრა. ჯიმი, ჩემი აზრით, დ' ამატოს აზრებისა და იდეების ერთადერთი ჭეშმარიტი მემკვიდრე იყო. სხვათა შორის, მას ჰქონდა კრივის ამსახველი ფილმების უნიკალური კოლექცია: კინოფირზე გადაღებული 26 ათასი მატჩი. მასთან ერთად დაწვრილებით ვსწავლობდი ყველა ბრძოლას და ეს უზომოდ სასარგებლო აღმოჩნდა.

● თქვით იყოო...

— ჯიმი 23 მარტს გარდაიცვალა. სამი დღით ადრე კი მსოფლიოს უძლიერესი მძიმე წონის მოკრივის ტიტული დავიცავი: ტოკიოში მეორე რაუნდში დავამარცხე ტონი ტომსი. მას შემდეგ ჩემი საქმეები მიჰყავს ბილ კაიტონს, რომელსაც იოტისოდენადაც არ ვენდობი.

● როგორი ადამიანი იყო კუს დ' ამატო?

— ძნელი ასატანი კაცი იყო, ძალიან მძიმე ხასიათი ჰქონდა. მაგრამ მან მასწავლა ყველაფერი რინგზეც და ცხოვრებაშიც. ეს კი, დამეთანხმებით, ორი სრულიად სხვადასხვა რამაა. ან იქნებ ვცდები...

● რა მოგონებები შემოგრჩათ სამოყვარულო კრივში გამოხვლის პერიოდიდან?

— მხოლოდ ის მახსოვს, როგორ წავაგე შესარჩევი ტურნირი და ნაკრებში ვერ მოვხვდი 1984 წლის ლოს-ანჟელესის ოლიმპიურ თამაშებზე.

● ამბობენ, პირველივე დარტყმების შემდეგ მოკრივე რინგზე დაუნდობელი ხდებაო. დაუნდობლობა პროფესიულ კრივში — რა არის ეს: გარდაუვალი კანონი, აუცილებლობა?

— იგი თამაშის წესებში შედის. თუ მოკრივე ამ წესს არ სცნობს, მებრძოლად არ გამოდგება. გახსოვთ დიდებული ჰოვარდ დევისი? საოცარი მონაცემები, უნიკალური ტექნიკა, ბრწყინვალე კარიერა. მაგრამ იგი მზად არ იყო თავდადებისათვის რინგზე და ამიტომ ვერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, ამიტომ დამარცხდა.

● ამას წინათ თქვენს ცხოვრებაში ცვლილება მოხდა — ცოლი მოიყვანეთ. შეგეცვალათ თუ არა ხასიათი?

— რატომღაც გავრცელებულია აზრი, რომ ქორწინების შემდეგ ადამიანი იცვლება, უხერხემლო, დამჯერი, უნებისყოფო ხდება. შესაძლოა ასეთი მამაკაცებიც არსებობდეს, ოღონდ არ ვეკუთვნი მათ რიცხვს. გარდა ამისა, რიგინი დამოუკიდებელ ხასიათს ქმნიდა ჩემში, რად მიხდება ჩემი ხასიათის შეხსენება.

● დავუშვათ, ბიჭი გეყოლათ. ნებას მიხცემდით მოკრივე გამხდარიყო?

— ფორმალურად უარზე არ დავდგებოდი. იმიტომ, რომ ჩემი შვილი ვერასოდეს ვერ იქნება რინგზე ისეთი, როგორიც მე ვარ. ის არ იქნება მზად იკოხლოს და მოკვდეს რინგზე, რადგან ვერ გაიგებს რა არის გადარჩენისთვის ბრძოლის კანონი. ვერასოდეს ვერ გაიგებს!

● ჯიუტი ადამიანი ხართ?

— სრულიადაც არა. იოლად ვამბობ უარს ჩვევებზე, იოლად გადავდივარ ერთი გატაცებიდან მეორეზე. მაგალითად, ერთ დროს საშინლად მიყვარდა უამრავი სამკაულის ტარება. შემეგ, როგორც ჩანს, გავიზარდე და ამ გატაცებამ გამიარა. მერე ჩემთვის უცნაური ვარცხნილობების გამოგონებას მივყავი ხელი. მაგრამ ნებისმიერი ხუმტური სამ კვირას თუ გამყვება ხოლმე. ერთადერთი რამ, რისდამიც უცვლელი სიყვარული შევინარჩუნე, ავტომანქანებია.

● რა მოგიტანათ ფულმა?

— ფული - დამეხმარა განმეხორციელებინა ბავშვობის ოცნებები, ჩემი წარმოდგენა სიმდიდრესა და, ნაწილობრივ, ბედნიერებაზე. ფულის მეშვეობით ახალ სახლს ავიშენებ ნიუ-ჯერსიში. მე ახალგაზრდა და მდიდარი ვარ. ამას რა ჯობია! მაგრამ ფული ვერ მომცემს უსაფრთხოების გრძნობას. ფული არც ინდულგენციაა და არც სამოთხის საშვი. ოდესმე მოვკვდები და ჯოჯოხეთში ვერაფერს გავიყოლებ (ჯოჯოხეთში რატომ? მე ასე მგონია), ვერც ერთ, თუნდაც ყველაზე იაფფასიან, ავტომანქანას, ჩემი მომავალი სახლის ვერც ერთ ოთახს. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავში უნდა იყო დარწმუნებული. ჩემი სიმდიდრე მევე ვარ და არა ფული.

● როგორ წარმოგიდგენიათ სხვისი თვალით დანახული მაიკ ტაისონი?

— თავს მთელი პლანეტის ჩემპიონად, დედამიწის ყველაზე ძლიერ ადამიანად ვხედავ. მე კაცობრიობის შვილი ვარ. მაგრამ, გარდა ამისა, ამერიკელიც ვარ. შტატები კი ის ქვეყანაა, სადაც მხოლოდ „ნომერ პირველი“ ადამიანი აინტერესებთ. აქ გინდ მეორე ყოფილხარ და გინდ — მეასე ან მეათასე. ამიტომ ვიქნები პირველი.

● როგორ ფიქრობთ, კრივი სპორტია, თუ რაღაც სხვა რამ?

— ჩემთვის კრივი სიამოვნებაა, ხოლო ხალხისთვის, ვინც, ასე ვთქვათ, ემსახურება მას — ფული და ინტერესები.

● მაშასადამე, თუ კრივი სპორტი არ არის, თქვენ ათლეტი არ ყოფილხართ?

— ალბათ, შეიძლება მებრძოლი დამერქვას, უფრო კი —დაქირავებული მებრძოლი, მე ხომ რინგზე ფულის გასაკეთებლად გამოვდივარ, თუმცა მუშტების ქნევაც მომწონს.

● ხალხისთვის რაღას აკეთებთ?

— ხალხისთვის?.. ჩემი ფულის ნაწილს გონებრივად ჩამორჩენილთა სამკურნალო ინსტიტუტს ვუგზავნი. ვფიქრობ, რომ ეს საჭიროა და სიმბოლურიცაა.

თარგმნეს ზაზა კვერცხიშვილმა და კობა ბრეგვაძემ.

კალეიდოსკოპი

● ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა „მონდიალე-90“-მა გამოაცხადა, რომ ოქტომბრის დამდეგისთვის ბილეთების რეალიზაციით შემოსულმა თანხამ 70 მილიარდ ლირას მიაღწია.

● როგორც ჩანს, შაიბიანი ჰოკეი ბელგიაში პოპულარობას იბრუნებს. ამას წინათ ბრიუსელის „ფორისტ-ნეშნლის“ საციგურაოზე გამართულ მატჩს ადგილობრივ „ვეფეხვებსა“ და ჰოლანდიის „დე ბოსხს“ შორის რამდენიმე ათასი მაყურებელი დაესწრო.

● ფეხბურთის იტალიელი გულშემატკივარი ქალების აზრით, ნაკრების ყველაზე სიმპათიურ მოთამაშედ აღიარებულია ანტონიო კაბრინი.

● უცხოელი სპორტსმენები, რომლებიც სამხრეთ კორეაში სამ თვეზე მეტ ხანს დარჩებიან, ვალდებული იქნებიან გაიარონ ტესტირება შიდსზე.

● როგორც სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადყო, ამერიკის შეერთებული შტატების მოსამსახურეთა 29 პროცენტი მზადაა ნებისმიერ სიყალბეზე წავიდეს (ვთქვათ, განაცხადოს, რომ გარდაეცვალა ბებია და დაკრძალვას უნდა დაესწროს), ოღონდ არ გააცდინოს კეტბურთელთა მატჩი.

● დევისი თასის 1989 წლის გათამაშების ფინალური მატჩი გფრ-ისა და შვეიცის ჩოგბურთელთა გუნდებს შორის გაიმართება 15-17 დეკემბერს შტუტგარტში. შეხვედრა შედგება „შლაიერ-ჰალეში“, რომლის ტრიბუნები 11 ათას მაყურებელს იტევს.

● ვიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელები ტოკიოში საგასტროლო მატჩისთვის ნახევარმილიონ მარკას მიიღებენ.

● გაზეთ „ბილდ-ციტუნგის“ კორესპონდენტთან ინტერვიუში დასავლეთ გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ იგი არც იტალიაში და არც აშშ-ში არ იმუშავებს. ზოგიერთი გაზეთის განცხადება ამის თაობაზე, მისი აზრით, მტკნარი სიცრუეა და მეტი არაფერი.

● 2000 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩატარების სურვილი ჯერ-ჯერობით ორმა ქალაქმა — სტამბულმა (თურქეთი) და პეკინმა (ჩინეთი) გამოთქვა, ამასთან დაკავშირებით დასავლეთგერმანიის ჰამბურგმა გადაწყვიტა დროებით გაიუქმოს თავისი განაცხადი 2004 წელზე და გადმოიტანოს იგი 2000 წლისათვის.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10 531